დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა [უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების] მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

[უსდ-ის ლოგო]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

თამარ გაიხარაშვილი, პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია, საქართველო

წევრები:

ია ფანცულაია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

ცოტნე სამადაშვილი, ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი, საქართველო

ქეთევან კანკავა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი

2019 წ.

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	204909858
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	მეფე სოლომონ II-ის ქუჩა #4, თბილისი, 0114, საქართველო
ვებ-გვერდი	www.geosis.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული უსდ
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	20.11.2014, #30
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	17.12.2019

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	
ბაკალავრიატი	3
მაგისტრატურა	2
ერთსაფეხურიანი	3
დოქტორანტურა	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	1
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	9
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	-

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა 900			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	840		
ბაკალავრიატი			
მაგისტრატურა			
ერთსაფეხურიანი			
დოქტორანტურა	-	-	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-	-	-
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	-	-	-

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3^{48} პუნქტში

უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	432	59 1 (ორმაგი მოქ)	
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა			

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	269
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	
- პროფესორი	35
- ასოცირებული პროფესორი	48
- ასისტენტ პროფესორი	9
- ასისტენტი	3
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	
- მეცნიერი	-
- პოსტდოქტორანტი	-
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	
- აფილირებული პროფესორი	32
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	26
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	9
- აფილირებული ასისტენტი	3
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	2
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	102
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	9+61

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	3011 კვ.მ
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1817,5 კვ.მ
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1194.36 კვ.მ

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის N1151 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა (თამარ გაიხარაშვილი - თავმჯდომარე, ია ფანცულაია - წევრი, ცოტნე სამადაშვილი - წევრი, ქეთევან კანკავა - წევრი) შეისწავლა სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები დაწესებულების მიერ განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგის და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. 4 იანვარს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შედგა ექსპერტთა ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა, რომელზეც განხილული იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ექსპერტების მიერ გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ მხოლოდ დოკუმენტებით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით რთული იქნებოდა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შეფასება. გადაწყდა, ჯგუფს ვიზიტის განხორციელების თხოვნით მიემართა ცენტრის დირექტორისთვის, რაზედაც მიიღო დადებითი პასუხი. 2019 წლის 30 იანვარს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სასწავლო უნივერსიტეტ გეომედში. წინასწარ დადგენილი დღის წესრიგის შესაბამისად ჩატარდა ინტერვიუები უნივერსიტეტის რექტორთან, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ დარგებში რექტორის მოადგილეებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, მედიცინის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის, სტომატოლოგიის, ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის დეკანებთან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, დეპარტამენტების უფროსებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსთან, საერთაშორისო, საზოგადოებასთან და სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურებთან, სამეცნიერო კვლევების და ინოვაციების ცენტრის წარმომადგენლებთან, ბიბლიოთეკის დირექტორთან, სხვა ადმინისტრაციული პოზიციების მქონე პერსონალთან, დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან. ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმებულ იქნა უნივერსიტეტის მატერიალური რესურსი, კერძოდ დათვალიერებულ იქნა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა - სალექციო აუდიტორიები, პერსონალის სამუშაო სივრცეები, ბიბლიოთეკა, უნარ-ჩვევების ცენტრი, სტომატოლოგიური კლინიკა და სხვა. ვიზიტის ბოლოს შედგა შემაჯამებელი შეხვედრა უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ექსპერტთა ჯგუფის ზოგადი შეხედულებების და ძირითადი მიგნებების მათთვის გაზიარების მიზნით. შეხვედრები მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში და ჰქონდა თანამშრომლობითი ხასიათი.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☒ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: 20.11.2014

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი:

☐ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში შეფასების განხორციელების თარიღი: _____	
უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი:

სტანდარტი 1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 2. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 3. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 4. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 5. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 6. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 7. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

რეკომენდაციები

1.2

- სამოქმედო გეგმაში გაიწეროს თითოეული მიმართულების შესაბამისი კონკრეტული ქმედებები, განისაზღვროს შესრულების სავარაუდო ვადები, აუცილებელი ფინანსური და მატერიალური რესურსები.

2.1

- უნივერსიტეტის სტრუქტურის განსაზღვრა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მიხედვით
- სტრუქტურებს შორის კავშირის კარგად წარმოჩენა, სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების გამიჯვნა და უფლებების დელეგირება.
- ადმინისტრაციული და სხვა პერსონალის დანიშვნისთვის გამჭვირვალე კრიტერიუმების შემუშავება.

2.2

- ხარისხის სამსახურის მიერ მიღებული სტუდენტის, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაცემების ანალიზის მეთოდოლოგიის შემუშავება.
- საჭიროა არა მხოლოდ აკადემიური პერსონალის შეფასება, არამედ ადმინისტრაციული პერსონალის/მენეჯმენტის მართვის მუშაობის შეფასება.
- საჭიროა ფუნქციების დელეგირება და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ამოცანების

დეტალიზირება და გამიჯვნა სხვა სამსახურების ფუნქციიდან (მაგალითად ინფრასტრუქტურის ან ბიბლიოთეკის შემოწმება), ასევე საჭიროა ხარისხის სამსახურში სპეციალისტების დამატება.

2.3

- რეკომენდებულია შემუშავებულ იქნეს პლაგიატის აღმოჩენისა და აღმოფხვრის ერთიანი მექანიზმები და შეძენილ იქნეს პლაგიატის ამომცნობი სისტემა.

3.1

- უნივერსიტეტის ერთეულ პროგრამებზე არსებული სამაგალითო გამოცდილების განზოგადება მთელი უნივერსიტეტის, ყველა პროგრამის მასშტაბზე.
- პროგრამების დაგეგმვაში შრომის ბაზრისა და გარე კონტრიბუტორების ჩართულობის ფორმალიზება.
- სტუდენტების ჩართულობა პროგრამების შემუშავებასა და განვითარებაში იყოს სტრუქტურირებული და მათი როლი ამ პროცესში მათთვის სათანადოდ იყოს განმარტებული.
- სასწავლო პროგრამების დაგეგმვისას მოხდეს ინტერნაციონალიზაციის საჭიროების გათვალისწინება.
- პროგრამების დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს მობილობის მსურველი სტუდენტებისათვის სხვა პროგრამებთან თავსებადობის საკითხი.
- მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო კოლაბორაცია პროგრამების ფუნდამენტური ცვლილებების პროცესში.
- სტუდენტის დარგობრივ კომპეტენციაზე გასვლის შესაფასებლად არსებობდეს კონკრეტული ინსტრუქცია, მით უფრო თუ ამ მაჩვენებელს ეფუძნება პროგრამის წარმატებულობის შეფასება.

3.2

- მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამებოდეს განახლებულ დარგობრივ მახასიათებელს.
- უზრუნველყოფილი იყოს, რომ სტუდენტებს მიეწოდოთ ინფორმაცია სწავლების სხვადასხვა საფეხურების შესახებ, ასევე უნივერსიტეტის ძირითად სამუშაო დოკუმენტებში არსებული სხვა დეფინიციებისა და ფუნდამენტური საკითხების შესახებ.
- არჩევითი კურსების შინაარსი და სილაბუსი სტუდენტებისათვის ცნობილი, ხელმისაწვდომი და სათანადოდ განმარტებული იყოს.
- მრავალფეროვანი და დარგის სპეციფიკაზე მორგებული სწავლა-სწავლების მეთოდები თანაბრად ცნობილი და გამოყენებული იყოს სწავლებაში ჩართული პერსონალის მიერ.
- პროგრამების დეტალები ხელმისაწვდომი იყოს ფართო საზოგადოებისთვის, მათ შორის პოტენციური სტუდენტებისთვის ვებ.გვერდის საშუალებით.
- ინდივიდუალური პროგრამების შემუშავების წესი იყოს დეტალიზებული, სპეციფიური და ატარებდეს საჭიროების შემთხვევაში ინსტრუქციად გამოყენებადი მზა დოკუმენტის სახეს.

3.3

- სწავლის შედეგების შეფასების მხრივ პედაგოგების მომზადება იყოს ერთგვაროვანი, რათა სტუდენტების მოლოდინი და შესაძლებლობები არ იყოს დამოკიდებული კონკრეტულ პედაგოგზე ერთი და იმავე პროგრამის ფარგლებში.
- სტუდენტები სრულფასოვნად იყვნენ ინფორმირებული დარგობრივი კომპეტენციების, პროგრამისა და კურსების სწავლის შედეგების, მათი მიღწევის გზებისა და პროგრამის აღწერილობაში არსებული შეფასების მეთოდების შესახებ.

- სტუდენტის დარგობრივ კომპეტენციაზე გასვლის შესაფასებლად არსებობდეს კონკრეტული ინსტრუქცია, მით უფრო თუ ამ მაჩვენებელს ეფუძნება პროგრამის წარმატებულობის შეფასება.
- არსებობდეს ფორმალური და უნიფიცირებული პროცედურა სტუდენტის საჩივრებზე რეაგირებისათვის.
- სტუდენტები იღებდნენ კომენტარს თავიანთი ნაშრომების შესახებ უნიფიცირებული სქემით, ეს იყოს უნივერსიტეტიდან ინიცირებული პროცესი და არა ერთეული სტუდენტის აქტიურობის შედეგი.

4.1

- პერსონალისთვის აფილირების დადებითი მხარეებისა და მისი მიმზიდველობის უკეთ განსაზღვრა და განმარტება-გაცნობა.
- უცხოელ მოწვეულ პერსონალთან ხელშეკრულების გაფორმება, მათი უფრო მეტად ჩართვა აკადემიურ აქტივობაში.
- პერსონალის კმაყოფილების გაზრდის, ასევე უნივერსიტეტის შემდგომ განვითარებაზე ზრუნვის მოტივაციისა და უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ამაღლების მიზნით მეტად მიმზიდველი გარემოს შექმნა, წახალისების, დაჯილდოვების, საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის მეტი სტიმულირება.

4.2

- უნივერსიტეტმა შეიმუშაოს დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება პედაგოგიური პერსონალის დატვირთვის სახეები და დატვირთვის ზღვრული მოცულობა.

5.1

- საუნივერსიტეტო სივრცეში მოქმედ მსგავს ან ურთიერთდაკავშირებულ დოკუმენტებში მოცემული დეფინიციები ერთგვაროვანი იყოს.
- არსებობდეს სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმირების კონკრეტული პროცედურა, რაც ინფორმირების პროცესს უფრო ფორმალურს, ყველა სტუდენტისათვის უნიფიცირებულს და თანაბრად ხელმისაწვდომს გახდის.
- სტუდენტების საჩივრების მიღებასა და რეაგირებაზე არსებობდეს ფორმალური წესი, რომელიც ცნობილი და თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტებისათვის, მით უფრო სტუდენტების რაოდენობის გაზრდის გეგმის გათვალისწინებით.

5.2

- სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის, ასევე კარიერული და მხარდამჭერი სხვა ღონისძიებების მნიშვნელობა იყოს სათანადოდ შეფასებული და მიმართული ეფექტურ ფუნქციონირებაზე სტუდენტების ინტერესების სასარგებლოდ, რაც უზრუნველყოფილი იქნება აღნიშნულზე პასუხისმგებელი სამსახურის საქმის სპეციფიკასთან შესაბამისი კომპლექტაციით.
- სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებების ფარგლებში ყურადღება დაეთმოს სტუდენტებისათვის კარიერის განვითარების სხვადასხვა ალტერნატივების გაცნობას.
- კარიერული მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად კვლევები დაიგეგმოს უფრო მიზანმიმართულად და მოიცავდეს უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტიგენტს სრულად.
- სტუდენტთა კომპეტენციების შეფასების, ასევე სტუდენტთა მხარდამჭერი და სხვა აქტივობების შესაფასებელი გამოკითხვები უფრო სპეციფიური, დეტალიზებული და მიზანთან შესაბამისობით დაგეგმილი იყოს.

6.1

- გეომედი სასწავლო უნივერსიტეტია და შეზღუდული ფინანსების პირობებში აუცილებელია განისაზღვროს კვლევითი პრიორიტეტები.
- საჭიროა ბიუჯეტის მეტად დეტალიზირება სამეცნიერო კვლევების კუთხით (ასე მაგალითად როგორ იქნება დახარჯული და რამდენი იქნება გამოყოფილი უშუალოდ კვლევაზე, კონფერენციაის ჩატარებაზე, ლაბ–ის აღჭურვაზე და სხვა).
- კონფერენციის მასალები მისაწვდომი იყოს ვებგვერდზე, რათა მოხდეს პლაგიარიზმის თავიდან აცილება და შედეგების დისემინაცია.

6.2

- საჭიროა დეტალური ინტერნაციონალიზაციის გეგმის შემუშავება სამეცნიერო პრიორიტეტების გათვალისწინებით.
- საჭიროა განისაზღვროს ფინანსური მხარდაჭერა კვლევის ინტერნაციონალიზაციისათვის.
- საჭიროა განისაზღვროს კონკრეტულად როგორ მოხდება ახალგაზრდა პერსონალის მოზიდვა და დაინტერესება.

7.1

- სამედიცინო სკოლის სასწავლო და საგამოცდო პროცესის უზრუნველყოფისთვის საჭიროა მეტი სივრცე და ინვენტარი არსებული ლაბორატორიებისათვის, მათი ნაწილი საჭიროებს განახლებას.
- OSCE სადგურები რაოდენობრივად გასაზრდელია.
- არსებულ ტერიტორიებზე (ძველი ფლიგელი) სანიტარული კვანძების მოდერნიზაცია, რეაბილიტაცია.

7.2

- ბიბლიოთეკა მოითხოვს სტანდარტით გათვალისწინებული სივრცეების არსებობას, შესაბამისი სივრცის არსებობის პირობებში კართოტეკებით აღარ დაიტვირთება ბიბლიოთეკის ძირითადი სივრცე და საცავითაც იოლად ისარგებლებს პერსონალი.
- გაიზარდოს ბიბლიოთეკის სამუშაო საათები სტანდარტის შესაბამისად.
- ჩატარდეს სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვა საბიბლიოთეკო რესურსების და ზოგადად ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ.
- დაიხვეწოს ბიბლიოთეკის განახლების სისტემა.
- მოხდეს საბიბლიოთეკო რესურსების უკეთ გაცნობა როგორც სტუდენტებისთვის ასევე აკადემიური პერსონალისთვის.

7.3

- უნივერსიტეტის ვებგვერდი საჭიროებს განახლებას და გამართვას, ყველა მნიშვნელოვანი ველი უნდა ფუნქციონირებდეს, მითუმეტეს ის ნაწილები რომლებიც სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის საჭირო ინფორმაციას მოიცავს.

7.4

- საჭიროა ბიუჯეტის დაგეგმვისას კვლევით ნაწილზე უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბება, რაც მის ბიუჯეტირებას უფრო ნათელს გახდის.
- პროგრამათა მდგრადობისათვის უმჯობესია, გარდა სტუდენტების მიერ გადახდილი გადასახადისა , გაიზარდოს გარე გრანტების წილი.
- სკოლებს/პროგრამებს შორის ფინანსების დისტრიბუციის გამჭვირვალობა.

რჩევები

- სასურველია სამაგისტრო ნაშრომის შესაფასებელი ქულები იყოს უფრო კონკრეტულად ჩაშლილი და შესაბამისი.

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☒	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☒	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	☒	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☐	☒	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☒	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☒	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☒	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☒	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☒	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. თამარ გაიხარაშვილი (თავმჯდომარე)
2. ია ფანცულაია (წევრი)
3. ქეთევან კანკავა (წევრი)
4. ცოტნე სამადაშვილი (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები[4]; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობისას). უსდ-ს მისიაა - „გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესის ჰარმონიზაციას, ორიენტირებულს სტუდენტის ინტელექტუალურ და შემოქმედებით განვითარებაზე მედიცინის, სტომატოლოგიის, ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის, ფინანსების, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის სფეროში. უნივერსიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს იმგვარი საგანმანათლებლო გარემოს შექმნით, სადაც კვლევა, კრიტიკული აზროვნება, გამოცდილების გაზიარება, ტოლერანტობა, უწყვეტი პროფესიული ზრდა, ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა პრიორიტეტებია, რაც განაპირობებს თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას“. დაწესებულების მისია ითვალისწინებს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მიზნებს და ეხმიანება ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს. როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა მისია განხილული იქნა უნივერსიტეტის პერსონალთან. მისია განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ფართე საზოგადოებისთვის. მისიის გადახედვისთვის კონკრეტული ვადები დაწესებულებას ამ

[4] ეს რეკომენდაციები შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ავტორიზაციის, სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის, საგანმანათლებლო პროგრამის დამატების და/ან ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით განხორციელებულ ბოლო შეფასებასთან.

ეტაპზე დადგენილი არ აქვს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- დაწესებულების მისია
- ვებგვერდი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ ***შესაბამისობაშია მოთხოვნებთან***

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული გეგმის შემუსავების მიზნით დაწესებულებაში იქმნება სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში შედიან რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე, ასევე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები. ჯგუფი SWOT და სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებული WAP ანალიზების საფუძველზე გამოავლენს დაწესებულების ძლიერ და სუსტ მხარეებს, ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად ქმნის სტრატეგიული განვითარების 7- და 3 წლიან სამოქმედო გეგმებს.

სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გამოყოფილია შემდეგი ძირითადი მიმართულებები: დაწესებულების ინსტიტუციური განვითარება, ხარისხის უზრუნველყოფა, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება, სახელოვნებო და შემოქმედებითი საქმიანობა,

სტუდენტური სერვისები. შემუშავებული გეგმები განიხილება ყველა სტრუქტურული ერთეულის მიერ და მტკიცდება აკადემიურ საბჭოზე. გეგმის შემუშავების პროცესში განსაზღვრულია დამსაქმებლის მონაწილეობაც. სტრატეგიული გეგმა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2018 წელს.

უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმა არ არის დეტალურად გაწერილი, შესაბამისად თითოეული მიმართულების შესაბამისად განსაზღვრული რა კონკრეტული ქმედებებია დაგეგმილი დოკუმენტიდან არ იკითხება. არ არის განსაზღვრული დროში გაწერილი შესრულების გაზომვადი კრიტერიუმები, შესრულებაზე და მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები, ფინანსური და მატერიალური რესურსი.

დაგეგმილი აქტივობების განხორციელების შემოწმების მიზნით დაწესებულებაში არსებობს სტარტეგიული გეგმის მონიტორინგის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში წარმოდგენილი არიან რექტორი, სტუდენტთა თვითმმართველობის პრეზიდენტი, დამსაქმებელი, 2 კომპეტენტური პირი სხვა უსდ-დან. დოკუმენტის („სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“) მიხედვით დაწესებულებას დაგეგმილი აქვს მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობაში ასევე ჩართოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტი.

უსდ გაცნობიერებული აქვს საზოგადოების განვიტარებაში წვლილის შტანის აუცილებლობა, შესაბამისად ანხორციელებს კიდეც სხვადასხვა ტიპის აქტივობებს. 2018-19 წლისთვის დაწესებულებამ დასახა პრიორიტეტები სამი მიმართულებით - ესენია, ქველმოქმედება, გარემოს დაცვა და საზოგადოების მწვავე პრობლემა, სხვადასხვა დამოკიდებულებები დაძლევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები,ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სამოქმედო გეგმა
- საზოგადოებრივ განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

სამოქმედო გეგმაში გაიწეროს თითოეული მიმართულების შესაბამისი კონკრეტული ქმედებები, განსაზღვროს შესრულების სავარაუდო ვადები, აუცილებელი ფინანსური და მატერიალური რესურსები

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ *მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
o უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. o უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. o უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. o უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და ინტერვიუდან გაირკვა, უნივერსიტეტში, პირი თანამდებობაზე ინიშნება მისი კვალიფიკაციის, გამოცდილების, პროფესიული და პირადი უნარების შეფასებით, რათა დადგინდეს მისი პოზიციის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა. თანამდებობაზე დანიშვნის პროცედურები ხორციელდება გამჭვირვალედ სამართლიანობისა და შესაბამისი კანონმდებლობის გათვალისწინებით, თუმცა არსებული დოკუმენტაციიდან არ იკვეთება პროცესის გამჭვირვალობა. ასევე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციულ თანამდებობებზე დანიშვნის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც განხორციელდა ან მომავალში მოხდება სამსახურის ხელმძღვანელების დანიშვნა. ასევე ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულების მიხედვით სამსახურში პერსონალი ინიშნება არა კონკურსის, არამედ სამსახურის უფროსის წარდგინებით და რექტორის დამტკიცებით. აღსანიშნავია, ასევე რომ აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევა დეპარტამენტებისა და ადმინისტრაციული პერსონალისგან, მაგრამ არ არის წარმოდგენილი არჩევის წესი და პროცედურები. ასევე აკადემიური საბჭოს წევრი შეიძლება იყოს მოწვეული სამეცნიერო თანამდებობის ან აკადემიური თანამდებობის პირი, გაურკვეველია მისი ფუნქციები, მოვალეობები და ასევე საჭიროება. ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ კონკურსის ინტერნეტ გვერდებზე გამოცხადების მიუხედავად, ინფორმირება არსებული კონკურსების შესახებ ხორციელდებოდა პირადი კონტაქტების საფუძველზე. როგორც დოკუმენტაციიდან ჩანს, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული დაგეგმვის ერთეული ერთ–ერთი ყველაზე ძლიერი ერთეულია, თუმცა ინფორმაცია როგორ მოხდა ამ ერთეულის ხელმძღვანელის დანიშვნა ასევე გაურკვეველია. გარდა ამისა ხარისხის მართვის სამსახური წარმოდგენილია 1 ადამიანით და ფაქტიურად იყენებს სხვა სტრუქტურული ერთეულების თანამაშრომლებს. თანამშროლები იკრიბებიან კვირის დასაწყისში რექტორთან და ხდება მათთვის დავალებების მიცემა ან მიმდინარე საკითხების გაცნობა, თუმცა შესაბამისი

სხდომების ოქმები არ არსებობს. სტრუქტურა შემუშავებულია ისე რომ ფუნქციები გადაფარულია. დღეისათვის ყველა ძირითადი ფუნქცია ენიჭება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რითაც იქმნება ძლიერი ინდივიდუალური დამოკიდებულება. აკადემიური საბჭო, უმაღლესი ორგანო, იღებს ვალდებულებას უნივერსიტეტის ფუნქციონირებაში, მათ შორის, თანამშრომლობის განვითარებას, მობილობას, ინტეგრირებულ სწავლებას, სამეცნიერო სტრუქტურის ჩატარებას, თუმცა ეს პროცესები როგორ უნდა განახორციელოს აკადემიურ საბჭოს დებულებაში არ არის გაწერილი. უნივერსიტეტის ერთ–ერთი მთავარი პრიორიტეტია უცხოელი სტუდენტების მოზიდვა, თუმცა ამ მიზნით შექმნილი სამსახური მოიხსენიება როგორც დამხმარე ადმინისტრაციული სტრუქტურა და ვებგვერდზე ინფორმაცია ფაქტიურად არ არის განთავსებული. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ უნივერსიტეტში 2019 წლის დასაწყისში განხორციელდა რეორგანიზაცია და გამსხვილდა დეპარტამენტები. დღეისათვის არსებობს 8 დეპარტამენტი, თითოეულს ყავს ხელმძღვანელი. ეს გამოიწვია მედიცინის კურიკულუმში ინტეგრირების ელემენტების შემოტანის და მოდულური სწავლების აუცილებლობამ (მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნიდან გამომდინარე), მაგ. შეიქმნა მედიკობიოლოგიური დეპარტამენტი, რომელშიც შევიდა ანატომია, ფიზიოლოგია და სხვა ფუნდამენტური დისციპლინები. დაწესებულებაში დაწყებულია მუშაობა ინტერნაციონალიზაციის კუთხით, კერძოდ, 2018 წელს შემუშავდა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და დამტკიცდა აკადემიური საბჭოს სხდომაზე. ამ პოლიტიკის ფარგლებში უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები რიგ ევროპულ უნივერსიტეტებთან და ცენტრებთან, წარსულში ჰქონდათ ერთობლივი სამეცნიერო გრანტი, თუმცა პარტნიორთა ქსელის გაფართოება და ERASMUS+ -ის ან სხვა საერთაშორისო პროგრამებში ჩართვა აუცილებელია. გარდა ამისა დაწესებულებას შემუშავებული აქვს კითხვარი, რომლის საფუძველზეც გამოვლინდება ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით სუსტი მხარეები და მოხდება მისი აღმოფხრვა შესაბამისი რეაგირების შედეგად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები,ინტერვიუს შედეგები და სხვა). • უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცის პოლიტიკა • უსდ-ს სტრუქტურა • უსდ-ს საქმისწარმოების წესი • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: **რეკომენდებულია:** • უნივერსიტეტის სტრუქტურის განსაზღვრა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მიხედვით • სტრუქტურებს შორის კავშირის კარგად წარმოჩენა, სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების გამიჯვნა და უფლებების დელეგირება • ადმინისტრაციული და სხვა პერსონალის დანიშვნისათვის გამჭვირვალე კრიტერიუმების შემუშავება

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ *მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია ხარისხის უზრუნვეყოფის მექანიზმები და შესაბამისი დოკუმენტები, რომელშიც შეტანილი ბოლო ცვლილებების მიხედვით ხორციელდება პროფესორების, მასწავლებლების, სტუდენტების, ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა და შეფასება სხვადასხვა დონეზე. როგორც დოკუმენტებიდან ჩანს სტუდენტები წელიწადში ორჯერ, სემესტრის დასრულებისას რეგულარულად ავსებენ კითხვარს ელექტრონულად, საგამოცდო ცენტრში, გამოცდების დაწყებამდე. კვლევები გამოიყენება პროგრამების, სილაბუსების, აკადემიური პერსონალის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად. პედაგოგიური პერსონალისთვის გამოკითხვის შედეგების გაცნობა ხდება დეკანის ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. კვლევებში სტუდენტების მხრიდან უარყოფითი შეფასების შემთხვევაში გაწერილია ის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს პრობლემის მიხედვით მოდიფიცირებას.

ინტერვიუს დროს სტუდენტების მიერ მოყვანილი იქნა მაგალითი, როდესაც პედაგოგს, რომელიც ვერ ასრულებდა სათანადოდ თავის მოვალეობას ადმინისტრაციის მიერ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე მიეცა გაფრთხილება, შემდგომში კი, გათავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს ასევე სტუდენტთა მოსწრების მონიტორინგს და მის საფუძველზე ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს. ინტერვიუს დროს სამსახურის უფროსის მიერ მოყვანილ იქნა სწორედ განხორციელებული ერთ-ერთი ცვლილების მაგალითი, რომლის შედეგადაც გაუმჯობესდა მოსწრების მაჩვენებლები.

აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის შესაფასებლად

სტუდენტთა შეფასების გარდა გამოიყენება მასწავლებელთა პუნქტუალობის შეფასება, მაგალითად მეცადინეობის დაწყებისა და დამთავრების დროის აღრიცხვა ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან. ამ ტიპის მონიტორინგის შედეგად მინიმუმამდეა დაყვანილი პედაგოგების მხრიდან დაგვიანების შემთხვევები. დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგად ასევე გამოიკვეთა რიგ შემთხვევებში მათი ჩართულობა პროგრამის გაუმჯობესებაში, კერძოდ ფიზიკური რეაბილიტაციის ფაკულტეტისთვის არსებობს სპეციალური ცენტრი, რომელიც მნიშვნელოვანია შშმ პირთა მომსახურებისათვის, რაც პროგრამის მაღალ დონეზე სწავლებასაც უზრუნველყოფს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ასევე ხორციელდება აკადემიური/მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა, გარდა ამისა ბიბლიოთეკის რესურსების, ინფრასტრუქტურის და ა.შ. შეფასება. ცოტა გაურკვეველია, როგორ შეიძლება ერთი სამსახურის მიერ მოხდეს ყველაფრის შემოწმება, ასევე არ ჩანს თვითონ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის შეფასებას ვინ ანხორციელებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამსახური წარმოდგენილია ფაქტიურად უფროსით, რომელსაც საქმიანობისთვის ეხმარებიან სხვა სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გაურკვეველია თუ როგორ ხდება ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება, ასევე საქმიანობაში ხარვეზის დადგენის შემთხვევაში როგორ მოხდება მასზე რეაგირება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება • სწავლების ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები, (აკადემიური საბჭო N10, 27. 10. 2017, რექტორის ბრძანება N286, 28.10.2017) • გამოკითხვის შედეგები
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. • ხარისხის სამსახურის მიერ მიღებული სტუდენტის, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაცემების ანალიზის მეთოდოლოგიის შემუშავება; • საჭიროა არა მხოლოდ აკადემიური პერსონალის შეფასება, არამედ ადმინისტრაციული პერსონალის/მენეჯმენტის მართვის მუშაობის შეფასება; • საჭიროა ფუნქციების დელეგირება და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ამოცანების დეტალიზირება და გამიჯვნა სხვა სამსახურების ფუნქციიდან (მაგალითად ინფრასტრუქტურის ან ბიბლიოთეკის შემოწმება), ასევე ხარისხის სამსახურში სპეციალისტების დამატება.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ *მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ეთიკის კოდექსი. დოკუმენტი აღწერს დაწესებულების ეთიკურ პრინციპებსა და სტანდარტებს, აგრეთვე ითვალისწინებს იმ პროცედურებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს შესაძლო ეთიკური პრობლემების არსებობის შემთხვევაში. ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ საუნივერსიტეტო საზოგადოება იცნობს ეთიკის კოდექსს და რომ ის სავალდებულო სახელმძღვანელო დოკუმენტია როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. დისციპლინური კომისია რექტორის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის და სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის შემადგენლობით განიხილავს დოკუმენტით განსაზღვრული, სტუდენტის არაეთიკური ქცევის შემთხვევებს.

დაწესებულებას ამ ეტაპზე დანერგილი არ აქვს პლაგიატის აღმოჩენის და მასზე რეაგირების მექანიზმები. სამაგისტრო ნაშრომების შემოწმების მიზნით გამოიყენება ინტერნეტ სივრცეში თავისუფალი წვდომისთვის არსებული რესურსები.

დაწესებულება იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს სასწავლო კურსის მიზნები და სწავლის მოსალოდნელი შედეგები, სწავლებისა და შეფასების მეთოდები, სასწავლო ლიტერატურა და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- უსდ-ს დებულება
- ეთიკის კოდექსი
- შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია შემუშავებულ იქნეს პლაგიატის აღმოჩენისა და აღმოფხვრის ერთიანი მექანიზმები და შეძენილ იქნეს პლაგიატის ამომცნობი სისტემა.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ***მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან***

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

უნივერსიტეტში არსებობს საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემა. დოკუმენტი საკმაოდ ზოგადია (მაგალითად, არ არის განსაზღვრული, რა ფორმით ხორციელდება დამსაქმებლების ან სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვა პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში). რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე პროგრამების დაგეგმვა უნიფიცირებული მიდგომით არ ხორციელდება. ამჟამად ყველა პროგრამა გადახედვას გადის, თუმცა ამ პროცესის პროგრესი არაერთგვაროვანია.

სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობა პროგრამებში აშკარაა, თუმცა არასაკმარისია მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ყველა პროგრამისათვის ეს ერთნაირი მასშტაბით ხდება. მაგალითისათვის, დამსაქმებლის ჩართულობის ძალიან კარგი პრაქტიკა არსებობს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის პროგრამის დაგეგმვის მხრივ. თუმცა ამ შემთხვევაში იკვეთება მეორე პრობლემა - დამსაქმებელი სრულად დამოუკიდებელი არ არის, დასაქმებულია უნივერსიტეტისავე სივრცეში და ვერ ჩაითვლება პროგრამის დამოუკიდებელ კონტრიბუტორად. რაც შეეხება სტუდენტების ჩართულობას პროგრამის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში - ერთეული მაგალითები სახეზეა, თუმცა ამას არ აქვს სისტემური ხასიათი,

სტუდენტთა ინიციატივები მიმართულია მათი ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებასა და პრობლემების აღმოფხვრაზე; მათთვის არ არის განმარტებული ამ ქმედებების გლობალური მნიშვნელობა, რაც ვერ უზრუნველყოფს მათი მხრიდან უფრო ფართო ხედვისა და ღრმა ანალიზის სურვილს.

სტუდენტების სწავლის შედეგების მონიტორინგს აქვს რეგულარული სახე და მიღებული მონაცემები აისახება პროგრამებში ცვლილებებზე. სწავლის შედეგების მონიტორინგს ინდივიდუალური სტუდენტის დონეზე ახორციელებს დეკანი. გარდა ამისა, სწავლის შედეგების მიღწევის ანალიზისათვის იყენებენ კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და შემდგომ საფეხურებზე სწავლის გაგრძელების სტატისტიკას. ხარისხის სამსახურთან ერთად დეკანი და/ან პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრავენ პროგრამაში ან კურსში ცვლილებების შეტანის საჭროებას. უკანასკნელ პერიოდში სტუდენტების მოსწრების გაუმჯობესების მიზნით უსდ-ში შეიცვალა შეფასების სისტემა (დაწესდა გამოცდაზე გამსვლელი ქულის ბარიერი), რამაც უსდ-ს წარმომადგენლების რწმენით დადებითი შედეგი იქონია აკადემიურ მოსწრებაზე. კვლევითი აქტივობების გააქტიურების საჭიროებაზე საპასუხოდ სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი გახდა თავისუფალი კრედიტების მიღების შესაძლებლობა კვლევაში ჩართულობისათვის.

უსდ-ში პროგრამების განახლების მასშტაბური ღონისძიებები ამჟამად მიმდინარეობს, რაც ართულებს საბოლოო შედეგის შეფასებას. თუმცა აღსანიშნავია მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის პროგრესი მისი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. უსდ-ს ამბიცია, რომ მედიცინის სწავლებაში დანერგოს მოდულური სისტემა, წასახალისებელია, თუმცა საჭიროებს მეტ კონსულტაციებს გამოცდილი ადამიანების მხრიდან, რომელთაც მსგავსი პროგრამების დანერგვის და ამ პროცესთან დაკავშირებული სირთულეების აღმოფხვრის გამოცდილება აქვთ. მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამას შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედში ჰყავს გერმანელი თანახელმძღვანელი, თუმცა ის პრაქტიკოსი ექიმია და არ არის გერმანიის აკადემიურ სივრცეში პროგრამების დანერგვასა და განხორციელებაში ჩართული, შესაბამისად მისი მონაწილეობა საუნივერსიტეტო პროცესებში უფრო ზოგადი რეკომენდაციებით შემოიფარგლება.

მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამაზე დიდი რაოდეობით უცხოელი სტუდენტის არსებობა ზრდის მოთხოვნას პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე. აღნიშნული მიზნის მიღწევა რთულია მოდულების პრინციპზე აგებული კურიკულუმის ფარგლებში, დიდ შრომას მოითხოვს მსგავსი კურიკულუმის ინტეგრაცია საერთაშორისო სამედიცინო განათლების ბაზარზე და სტუდენტებისათვის საერთაშორისო მობილობის შეთავაზება. ამის გამოსავალს უნივერსიტეტის წარმომადგენლები ხედავენ საზაფხულო სტაჟირებების პროგრამებში, რაც ვერ ჩაანაცვლებს პროგრამის ინტერნაციონალიზაციისათვის აუცილებელ სხვა კომპონენტებს (გაცვლითი სემესტრი, მოწვეული პროფესორები და ა.შ.). ინტერნაციონალიზაციის საფეხურები გაწერილია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტში, თუმცა ექსპერტებთან ინტერვიუს დროს უნივერსიტეტის არცერთი წარმომადგენელი არ იყო დეტალურად გათვითცნობიერებული ამ მექანიზმების შესახებ და ამ მომენტისათვის მათი უმეტესობა არ ხორციელდება. გასათვალისწინებელია, ასევე, რომ სტუდენტს (მით უფრო, უცხოელ სტუდენტს) შესაძებელია, უნივერსიტეტის შეცვლის აუცილებლობა დაუდგეს და რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მაქსიმალური გააკეთოს, რომ სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის ნაწილი თავსებადი იყოს სხვა უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებთან. საჭიროა პროგრამების დაგეგმვა ამ საკითხზე მეტი ორიენტირებით.

წასახალისებელია ის ფაქტი, რომ არსებობს პროგრამების შეფასების სისტემა. დოკუმენტში

„საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემა“ ეს ნაწილი დასათაურებულია, როგორც სხვადასხვა პროგრამების „სწავლის შედეგების შეფასება“, თუმცა რეალურად წარმოადგენს სწავლის შედეგებზე გასვლის შეფასებას და გამოიყენება პროგრამის წარმატების საზომად. ეს ნაწილი ბევრ არამკაფიო დეტალს შეიცავს - დარგობრივი უნარების შედეგების მონიტორინგის ინსტრუქცია მოიცავს კომპეტენციის შედეგზე გამსვლელი სტუდენტების რაოდენობის კალკულაციას და ამის შედეგად პროგრამის შედეგზე გასვლის შეფასებას. არამკაფიოა, როგორ ხდება საკუთრივ ამ სტუდენტების შეფასება და მათ მიერ დარგობრივ კომპეტენციებზე გასვლის აღიარება, მით უფრო მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამების მოთხოვნების ბოლოდროინდელი დახვეწის ფონზე. აღნიშნული საკითხი განხილული უნდა იყოს სწავლის შედეგების შეფასების სისტემასთან და შემფასებლების კომპეტენციასთან კორელაციაში, თუმცა საბოლოო ჯამში აისახება სასწავლო პროგრამების შეფასების არასრულყოფილებაში.

უსდ-ში პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი დეტალურად არის აღწერილი დოკუმენტში „საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემა“. ამ პროცესის ინიციატორია ფაკულტეტის საბჭო. პროგრამას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგენით ამტკიცებს აკადემიური საბჭო. პროგრამაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე. პროგრამის ცვლილების ან გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტების ინტერესების დაცვის ვალდებულება და ამ მიზნით გასატარებელი ღონისძიებები დოკუმენტში ხაზგასმით და დეტალურადაა აღწერილი (ასევე აღწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში). ამ პროცესის რეალური მაგალითები ექსპერტებისათვის ცნობილი არ არის. თუმცა აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მედიცინის პროგრამის ცვლილების ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელი და დეკანი მუშაობენ იმაზე, რომ პროგრამა ახალი სახით იყოს ხელმისაწვდომი ამჟამად სასწავლო პროცესში ჩართული სტუდენტებისათვის. მათი თქმით, თუ პროგრამის ასეთი სახით შემუშავება ვერ მოხერხდა, უკვე ჩარიცხული სტუდენტებისათვის პროგრამა გაგრძლდება ისეთი სახით, როგორითაც არსებობდა მათი ჩარიცხვის მომენტისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები
- შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემა
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნის ანალიზი
- კურსდამთავრებულთა სტატისტიკა
- გამოკითხვების შედეგების ანალიზი
- შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის დებულება
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია:

- უნივერსიტეტის ერთეულ პროგრამებზე არსებული სამაგალითო გამოცდილების განზოგადება მთელი უნივერსიტეტის, ყველა პროგრამის მასშტაბზე;
- პროგრამების დაგეგმვაში შრომის ბაზრისა და გარე კონტრიბუტორების ჩართულობის ფორმალიზება;
- სტუდენტების ჩართულობა პროგრამების შემუშავებასა და განვითარებაში იყოს სტრუქტურირებული და მათი როლი ამ პროცესში მათთვის სათანადოდ იყოს განმარტებული;
- სასწავლო პროგრამების დაგეგმვისას მოხდეს ინტერნაციონალიზაციის საჭიროების გათვალისწინება;
- პროგრამების დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს მობილობის მსურველი სტუდენტებისთვის სხვა პროგრამებთან ტავსებადობის საკითხი;
- მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო კოლაბორაცია პროგრამების ფუნდამენტური ცვლილებების პროცესში;
- სტუდენტის დარგობრივ კომპეტენციაზე გასვლის შესაფასებლად არსებობდეს კონკრეტული ინსტრუქცია, მით უფრო თუ ამ მაჩვენებელს ეფუძნება პროგრამის წარმატებულობის შეფასება.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ *მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული, თუმცა გარკვეულ მასშტაბებში საჭიროებს კორექტირებას პროგრამების სტანდარტების განახლებულ მოთხოვნებთან

შესაბამისობაში მოსასვლელად. აღსანიშნავია, რომ თითოეული კურსისათვის სწავლის შედეგები არის გაწერილი ზოგადად, უფრო შაბლონის ხასიათს ატარებს. სილაბუსების ნაწილის შინაარსობრივი მხარეც მეტად ზოგადია. სილაბუსი შევსებული შაბლონის ფორმას უფრო მეტად ატარებს, ვიდრე კურსის დეტალური დახასიათებისათვის შექმნილი დოკუმენტის სახეს. ინტერვიუს დროს აღმოჩნდა, რომ არცერთმა სტუდენტმა არ იცოდა, რა კვალიფიკაციას და ხარისხს მიიღებდა პროგრამის დასრულების შემდეგ, ან რა ალტერნატივები ჰქონდა სწავლის გასაგრძელებლად. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ერთ-ერთი მოთხოვნაა რომ პროგრამის დასასრულს სტუდენტს უნდა შეეძლოს სწავლის გაგრძელება სწავლების შემდეგ საფეხურზე. ეს თავისთავად გულისხმობს, რომ სტუდენტები ინფორმირებული უნდა იყონ სწავლების საფეხურების, მათი შინაარსის შესახებ, სულ მცირე, უნდა ფლობდნენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომელ საფეხურზე სწავლობენ და რა კვალიფიკაციას მიიღებენ. რთული წარმოსადგენია, რომ ეს მხოლოდ სტუდენტთა მცირე ჯგუფის პრობლემა იყოს და საფიქრებელია, რომ მსგავს საკითხებზე ინფორმირებას სათანადო ყურადღება არ ეთმობა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული ძირითადი დეფინიციები უნივერსიტეტის სამუშაო დოკუმენტებში არის და ამ დოკუმენტების სტუდენტებისათვის გაცნობის ვალდებულება უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს სტუდენტთან გაფორმებული კონტრაქტით.

პროგრამებში გათვალისწინებულია თავისუფალი კრედიტები არჩევითი კურსებისათვის, მაგრამ სტუდენტების თქმით, კურსის არჩევამდე კურსის შინაარსი მათთვის უცნობია და ზოგჯერ ელექტრონული საძიებო სისტემებით (მაგალითად, google) უწევთ ინფორმაციის მოძიება ამათუიმ კურსის შინაარსის შესახებ (რაც, რა თქმა უნდა, არ უზრუნველყოფს გაცნობიერებული არჩევანის გაკეთებას). ზოგიერთი კურსის წინაპირობაა 5-ზე მეტი მსურველის არსებობა. იმ პირობებში, როდესაც ზოგიერთი პროგრამის კონკრეტულ საფეხურზე 5-ზე ნაკლები სტუდენტი სწავლობს, ასეთი პირობის დაწესება საკმაოდ შეზღუდავს მსგავსი კურსების ხელმისაწვდომობას.

სწავლა-სწავლების მეთოდები, რომლებიც უსდ-ში გამოიყენება, მრავალფეროვანია. მედიცინისა და რეაბილიტაციის პროგრამებზე მოიცავს პრაქტიკული უნარების ათვისებას. თუმცა, როგორც ინტერვიუებიდან გამოჩნდა, ყველა პედაგოგი თანაბრად არ იცნობს და არ იყენებს დარგის სპეციფიკის შესაბამის მეთოდებს. შესაბამისად, სტუდენტებისათვის სპეციფიური სწვალა-სწავლების მეთოდებზე ხელმისაწვდომობა ერთგვაროვანი არ არის. უსდ-ს ადმინისტრაცია აღნიშნავს, რომ სწავლების მეთოდების ტრენინგები პედაგოგებს პერიოდულად უტარდებათ (როგორც ტრენერის ადგილზე მოწვევით, ასევე თანამშრომლის გადამზადებაზე გაგზავნით), თუმცა ამ პროცესში ყველა პედაგოგი ჯერჯერობით ჩართული არ არის. გადამზადებაზე გასაგზავნად პერსონალის შერჩევისა და პრიორიტეტულობის განსაზღვრის სქემა არ არსებობს.

პროგრამების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უსდ-ის ვებ.გვერდზე, თუმცა პროგრამის დეტალების დიდი ნაწილი თავისუფლად ხელმისაწვდომი არ არის, მოითხოვს წვდომას სპეციალური პაროლით. აღნიშნული არ უზრუნველყოფს პროგრამის ცნობადობას.

უსდ-ში ინდივიდუალური პროგრამები განსხვავებული მოთხოვნების სტუდენტებისათვის არ არსებობს და პასუხისმგებელი პირების თქმით, ამის საჭიროება აქამდე არ ყოფილა. თუ იქნება, შესაბამის პროგრამებსაც გააკეთებენ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი არსებობს, თუმცა მეტად ზოგადია (შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის ნაწილია).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს

შედეგები და სხვა).

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები
- შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემა
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნის ანალიზი
- კურსდამთავრებულთა სტატისტიკა
- გამოკითხვების შედეგების ანალიზი
- შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის დებულება
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია:

- მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამებოდეს განახლებულ დარგობრივ მახასიათებელს;
- უზრუნველყოფილი იყოს, რომ სტუდენტებს მიეწოდოთ ინფორმაცია სწავლების სხვადასხვა საფეხურების შესახებ, ასევე უნივერსიტეტის ძირითად სამუშაო დოკუმენტებში არსებული სხვა დეფინიციებისა და ფუნდამენტური საკითხების შესახებ;
- არჩევითი კურსების შინაარსი და სილაბუსი სტუდენტებისათვის ცნობილი, ხელმისაწვდომი და სათანადოდ განმარტებული იყოს;
- მრავალფეროვანი და დარგის სპეციფიკაზე მორგებული სწავლა-სწავლების მეთოდები თანაბრად ცნობილი და გამოყენებული იყოს სწავლებაში ჩართული პერსონალის მიერ;
- პროგრამების დეტალები ხელმისაწვდომი იყოს ფართო საზოგადოებისთვის, მათ შორის პოტენციური სტუდენტებისთვის ვებ.გვერდის საშუალებით;
- ინდივიდუალური პროგრამების შემუშავების წესი იყოს დეტალიზებული, სპეციფიური და ატარებდეს საჭიროების შემთხვევაში ინსტრუქციად გამოყენებადი მზა დოკუმენტის სახეს.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ *მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შეფასების სისტემა და შეფასებასთან დაკავშირებით არსებული რეგულაციები არსებობს, შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ სამართლებრივ აქტებთან. უნივერსიტეტში ამჟამად მიმდინარეობს რიგი ცვლილებებისა, რომლებიც შეეხება სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების შეცვლას და პროგრამების თავისებურებებთან მორგებას. ამ მომენტისათვის პროცესი დასრულებული არ არის, ინფორმაცია ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესში ჩართული პედაგოგების მხოლოდ ნაწილისათვის. 2018 წლის სექტემბერში პროგრამებში შეტანილი ცვლილებების თანახმად პროგრამები ითვალისწინებს შეფასების საკმარისად მრავალფეროვან მეთოდებს, მაგრამ რეალობაში ეს მეთოდები არ გამოიყენება, მათ შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ არც სტუდენტები და არც პედაგოგების დიდი ნაწილი. თუმცა აქტიურია პერსონალის გადამზადების პროცესი (როგორც აღწერილია სტანდარტი 3.2-ის მიმოხილვაში). პერსონალის ნაწილმა გაიარა გადამზადება სწავლებისა და შეფასების მეთოდების ზოგად ნაწილში, ნაწილი გადის გადამზადებას მედიცინის პროგრამისათვის სპეციფიური სწავლების მეთოდების კუთხით. თუმცა პედაგოგთა ნაწილი ჯერაც არ არის ინფორმირებული მოთხოვნებისა და დარგობრივი კომპეტენციების ცვლილებების შესახებ. შესაბამისად, ამ მხრივ მდგომარეობა მეტად არაერთგვაროვანია - ზოგიერთი კურსის პედაგოგი სრულყოფილად არ იცნობს თავისავე კურსის ბოლოს დაგეგმილი გამოცდის შინაარსს და სქემას.

სტუდენტები, რომლებთანაც ექსპერტებმა შეძლეს გასაუბრება, არ ფლობენ ინფორმაციას პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ, ზოგიერთ მათგანს (ვინც საკუთარი სურვილით გაეცნო სილაბუსს) აქვს ზოგადი წარმოდგენა ამათუიმ კურსის სწავლის შედეგებზე. სტუდენტები არ თვლიან, რომ უსამართლოდ ან არათანასწორად ფასდებიან. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მათ შეზღუდული წარმოდგენა აქვთ ხელმისაწვდობ სწავლებისა და შესაბამისი შეფასების მეთოდებზე.

სწავლის შედეგების შეფასება და დარგობრივ კომპეტენციებზე გასვლის შეფასება მნიშვნელოვანი პარამეტრია პროგრამების მონიტორინგისათვის და პრინციპული მნიშვნელობისაა, რომ ეს საკითხი სათანადოდ იყოს აქცენტირებული სწავლებაში ჩართული თითოეული პედაგოგისათვის (დეტალურად იხილეთ სტანდარტი 3.1 მიმოხილვა).

უსდ-ში არსებობს შეფასების გასაჩივრების სისტემა. შეფასება განიხილება კომისიური წესით, ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის კომისია ყალიბდება ინდივიდუალურად. აღნიშნული პროცედურის დოკუმენტური დადასტურების მოძიება ვერ მოხერხდა და ამ პროცესის აღწერა დაინტერესებული მხარეების მიერ ერთგვაროვანი არ არის, რაც მიანიშნებს, რომ ამ პროცესს ფორმალური პროცედურის ხასიათი არ აქვს.

სტუდენტს აქვს საშუალება, მიიღოს კონსულტაცია პედაგოგისაგან, აქვს საშუალება, ითხოვოს დამატებითი ინდივიდუალური მეცადინეობა (ამას ინტერვიუში ადასტურებენ ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც და სტუდენტებიც). ამ პროცესს ფორმალური ხასიათი არ აქვს, თუმცა სასწავლო პროცესის მართვაში ჩართული პერსონალი უმკლავდება მსგავსი მოთხოვნების

მართვას. სტუდენტი შეფასების შესახებ კომენტარს იღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოითხოვს. მნიშვნელოვანია, თავისი შეფასების შესახებ განმარტებას თითოეული სტუდენტი იღებდეს და ეს იყოს უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული პროაქტიური პროცესი, რაც დადებითად აისახება სწავლის შედეგებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები
- შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემა
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნის ანალიზი
- კურსდამთავრებულთა სტატისტიკა
- გამოკითხვების შედეგების ანალიზი
- შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის დებულება
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია:

- სწავლის შედეგების შეფასების მხრივ პედაგოგების მომზადება იყოს ერთგვაროვანი, რათა სტუდენტების მოლოდინი და შესაძლებლობები არ იყოს დამოკიდებული კონკრეტულ პედაგოგზე ერთი და იმავე პროგრამის ფარგლებში;
- სტუდენტები სრულფასოვნად იყვნენ ინფორმირებული დარგობრივი კომპეტენციების, პროგრამისა და კურსების სწავლის შედეგების, მათი მიღწევის გზებისა და პროგრამის აღწერილობაში არსებული შეფასების მეთოდების შესახებ;
- სტუდენტის დარგობრივ კომპეტენციაზე გასვლის შესაფასებლად არსებობდეს კონკრეტული ინსტრუქცია, მით უფრო თუ ამ მაჩვენებელს ეფუძნება პროგრამის წარმატებულობის შეფასება;
- არსებობდეს ფორმალური და უნიფიცირებული პროცედურა სტუდენტის საჩივრებზე რეაგირებისათვის;
- სტუდენტები იღებდნენ კომენტარს თავიანთი ნაშრომების შესახებ უნიფიცირებული სქემით, ეს იყოს უნივერსიტეტიდან ინიცირებული პროცესი და არა ერთეული სტუდენტის აქტიურობის შედეგი.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ *ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა

- უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.
- უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე მასწავლებელთა კვალიფიკაცია, უპირატესად შეესაბამება მოთხოვნებს, რაც მათ ხელშეკრულებაშია მითითებული. პროგრამის დანერგვას, შესრულებასა და შედეგების მიღწევაზე პასუხისმეგებელი პერსონალი ამ მიმართებით კომპეტენტურია.

პერსონალის მიღება სასწავლო დაწესებულებაში ხდება კონკურსის შესაბამისად. აკადემიური პერსონალის შერჩევა საქართველოს "უმაღლესი განათლების შესახებ კანონის" , უნივერსიტეტის წესდების, დებულების და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით.

უნივერსიტეტს გააჩნია დოკუმენტი: "სტუდენტთა და პერსონალის კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია" რაც ძირითადი დოკუმენტია მასში შემცველი მნიშვნელოვანი კომპონენტების განსაზღვრისათვის.

უნივერსიტეტის 9 აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხება 840 სტუდენტი და დასაქმებულია 95 აკადემიური პერსონალი, ამათგან 70 აფილირებულია. აფილირების წესი და პირობები განსაზღვრულია დაწესებულების დებულებით და რეგულირდება ხელშეკრულებით. თუმცა აფილირებული პერსონალისათვის მათი ხელშეკრულების პირობების უპირატესობის დადგენა სხვა ტიპის ხელშეკრულებებთან მიმართებით ვერ მოხერდხდა ინტერვიუების დროს. საგანმანათლებლო პროცესში, დოკუმენტაციის მიხედვით, ჩართულია 2 უცხოელი მოწვეული პერსონალი, რომელთა უფლება მოვალეობები არასათანადოდაა ხელშეკრულების სახით დადასტურებული. უცხოელ თანამშრომელთან გაფორმებული ხელშეკრულება უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია, ინტერვიუდან ვერ გამოიკვეთა ასევე მათი

ჩართულობა აკადემიურ პროცესში და ზოგადად როლი უნივერსიტეტის საქმიანობაში.
როგორც ინტერვიუებიდან გაირკვა, უნივერსიტეტს აქვს პერსონალის წახალისების და დაჯილდოვების ერთეული მაგალითები, რომელთა სისტემატიზირება და გამჭვირვალობა უმჯობესი იქნებოდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური პერსონალის საკონკურსო ინფორმაცია
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები
- პერსონალის პირადი საქმეები
- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები
- სტუდენტთა და პერსონალის კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია:

- პერსონალისთვის აფილირების დადებითი მხარეებისა და მისი მიმზიდველობის უკეთ განსაზღვრა და განმარტება-გაცნობა;
- უცხოელ მოწვეულ პერსონალთან ხელშეკრულების გაფორმება, მათი ჩართვა აკადემიურ აქტივობებში;
- პერსონალის კმაყოფილების გაზრდის, ასევე უნივერსიტეტის შემდგომ განვითარებაზე ზრუნვის მოტივაციისა და უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ამაღლების მიზნით მეტად მიმზიდველი გარემოს შექმნა, წახალისების, დაჯილდოვების, საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის სტიმულირება;
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმება და განახლება

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ *მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის

შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უნივესრიტეტში მოქმედებს 9 აკტრედიტირებული პროგრამა, სადაც დასაქმებულია 95 აკადემიური პერსონალი, აქედან 70 აფილირებულია, თანაფარდობა აფილირებულ და მოწვეულ პერსონალს შორის 70:102, თანაფარდობა აფილირებულ აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის 70:840. უნივერსიტეტის მიერ აკადემიური პერსონალის დატვირთვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც ასახული იქნებოდა, თუ რა ტიპის აქტივობების განხორციელება ევალება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს და რა მოცულობით წარმოდგენილი არ ყოფილა. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის წარმოდგენილი იყო სემესტრების მიხედვით პერსონალის დატვირთვები, გამოსახული მხოლოდ საკონტაქტო საათებით. სხვადასხვა აქტივობის შესაბამისად (კვლევითი საქმიანობა, ადმინისტრირების პროცესებში მონაწილეობა და ა.შ.) დატვირთვის განმსაზღვრელი მონაცემები არც კონტრაქტებშია მითითებული. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სამიზნე ნიშნულები აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალისთვის სტუდენტთა რაოდენობასთან მიმართებით. ატვირთული დოკუმენტაცია, კონტრაქტები, მარეგულირებელი დოკუმენტი "სტუდენტთა და პერსონალის დაგეგმვის წესი და მეთოდოლოგია" აღწერენ მხოლოდ ზოგად წესებს და არა კონკრეტულ დატვირთვას თითოეულ აკადემიურ პერსონალზე. ინტერვიუს შედეგები არაერთგვაროვანია და სრული ინფორმაციის მიღება შეუძლებელია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: **რეკომენდებულია** უნივერსიტეტმა შეიმუშაოს დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება პედაგოგიური პერსონალის დატვირთვის სახეები და დატვირთვის ზღვრული მოცულობა.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ *მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან* ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
o უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. o უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეწყვეტისა და გაუქმების წესი საკმარისად დეტალიზებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომელიც იძებნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. რაც შეეხება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის პირობებს - უნივერსიტეტის დებულებაში არის ჩანაწერი (თავი V, მუხლი 17, პუნქტი 9), რომელიც ბოლომდე ცხადი არ არის (მაგალითად, რას ნიშნავს „აკადემიური ჩამორჩენილობა“ ან „უნივერსიტეტის შინაგანაწესის მოთხოვნების უხეში დარღვევა“. ხოლო სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის პირობები უფრო დეტალურად, მსგავსი ბუნდოვანების გარეშე არის განმარტებული. უსდ-ში მოქმედი მობილობის წესიც განმარტებულია ზემოხსენებულ დოკუმენტში (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი). განათლების აღიარების წესი წარმოდგენილ დოკუმენტებში არ იძებნება, თუმცა, როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა, მობილობის ან გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარებასა და კრედიტების მინიჭებაში მონაწილეობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და დეკანატი. კვალიფიკაციის მინიჭების წესი ძალიან ზოგადია. დოკუმენტებში არ არის მოცემული ამ პროცედურების ეფექტურ ფუნქციონირებაზე სტუდენტების (ან სხვა დაინტერესებული მხარეების) მხრიდან გამოხატული უკმაყოფილების შემთხვევები და მსგავსი შემთხვევები არც შეხვედრების დროს გამოვლენილა. სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული კონტრაქტი შედგენილია სტუდენტის ინტერესების სრული დაცვით. ხელშეკრულებაში გაწერილია ორივე მხარის უფლებები და ვალდებულებები. უსდ-ს მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში სტუდენტისათვის ხელმისაწვდომი სპეციფიური პროცედურა გაწერილი არ არის, თუმცა აღნიშნულია, რომ დავების გადაწყვეტა მოხდება სასამართლოს გზით და სტუდენტს აქვს უფლება, განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება. უნივერსიტეტის მიერ სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმირების მექანიზმი წარმოდგენილ დოკუმენტებში გაწერილი არ არის. კონტრაქტის მიხედვით, უნივერსიტეტი ვალდებულია, გააცნოს სტუდენტს უნივერსიტეტში მოქმედი ძირითადი

დოკუმენტები, თუმცა პროცედურა დეტალიზებული არ არის. სტუდენტები ინფორმაციას არაფორმალური შეხვედრებისა და ინდივიდუალური კონსულტაციების გზით იღებენ დეკანატის წარმომადგენლებისაგან. წარმოდგენილ დოკუმენტებში დეტალიზებული არ არის სტუდენტთა საჩივრებზე უნივერსიტეტის რეაგირების პროცედურა. თუმცა, სტუდენტთა კითხვარების ანალიზის ფარგლებში აღწერილია რამდენიმე ცვლილება, რაც სტუდენტთა გამოკითხვით იდენტიფიცირებულ პრობლემებს პასუხობს. სტუდენტებთან (მათ შორის უცხოელ სტუდენტებთნ) გასაუბრებიდან ჩანს, რომ მათ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ურთიერთობა არ უჭირთ და ნებისმიერ საკითხზე შეუძლიათ კომუნიკაცია დეკანატის საშუალებით, თვითმმართველობის, ან საფაკულტეტო საბჭოებში სტუდენტური წარმომადგენლობის დახმარებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). • შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის დებულება • შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი • კითხვარების ანალიზი • სტრუქტურა • სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის დებულება • დაგეგმილი და განხორციელებული სტუდენტური აქტივობები • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: **რეკომენდებულია:** • საუნივერსიტეტო სივრცეში მოქმედ მსგავს ან ურთიერთდაკავშირებულ დოკუმენტებში მოცემული დეფინიციები ერთგვაროვანი იყოს; • არსებობდეს სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმირების კონკრეტული პროცედურა, რაც ინფორმირების პროცესს უფრო ფორმალურს, ყველა სტუდენტისათვის უნიფიცირებულს და თანაბრად ხელმისაწვდომს გახდის; • სტუდენტების საჩივრების მიღებასა და რეაგირებაზე არსებობდეს ფორმალური წესი, რომელიც ცნობილი და თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტებისათვის, მით უფრო სტუდენტების რაოდენობის გაზრდის გეგმის გათვალისწინებით.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ *მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან* ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის, ასევე კარიერული მხარდაჭერის და სხვა მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის. სტრუქტურისა და დებულებების მიხედვით ყველა ეს პასუხისმგებლობა სრულდება სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის მიერ. ინტერვიუების შედეგების მიხედვით კი ეს ღონისძიებები უმეტესად ხორციელდება დეკანატის მიერ, მაშინ, როდესაც სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახური უპირატესად ექსტრაკურიკულური აქტივობების (სპორტული, შემოქმედებითი, საქველმოქმედო) დაგეგმვით არის დაკავებული. თავად სამსახურის შემადგენლობა და მუშაობის სპეციფიკა დოკუმენტებში არ ჩანს, თუმცა დებულებაში გაჟღერებული ფუნქციები საკმარისად ამომწურავია. თუმცა ინტერვიუებიდან აშკარაა, რომ ამ ფუნქციათა დიდ ნაწილს რეალურად დეკანატი ითავსებს. სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახური წარმოდგენილია ერთი თანამშრომლით და დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულება ერთი ადამიანის მიერ არარეალური იქნებოდა. სამსახურის ანგარიში ფაქტობრივად მოიცავს ექსტრაკურიკულური აქტივობების სიას. სტუდენტები სამსახურის მუშაობაზე უკმაყოფილებას არ გამოთქვამენ, თუმცა მეტად საფიქრებელია, რომ მათ არ აქვთ გაცნობიერებული ყველა ის სარგებელი, რაც მსგავსმა სტრუქტურამ შეიძლება მათ მოუტანოს სწავლისა და კარიერის დაგეგმვის თვალსაზრისით - ამას მოწმობს ისიც, რომ მაღალი კურსების სტუდენტებს კარიერის დაგეგმვის შესაძლებლობებზე ინფორმაცია არ აქვთ და მათთვის საბაზისოდ მნიშვნელოვანი ტერმინების (მაგისტრატურა, დოქტორანტურა, რეზიდენტურა, სამეცნიერო ხარისხი) მნიშვნელობა არ იციან, ასევე მათ მიერ მიღებული კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ. ამ ტერნიმების და მათ მიღმა არსებული შესაძლებლობების გაცნობა სტუდენტებისათვის საჭიროა პროგრამის დასრულებამდე დიდი ხნით ადრე, რათა მათ გაცნობიერებული არჩევანის გაკეთება შეეძლოთ. აუცილებელია, სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებები სათანადოდ იყოს დაგეგმილი და შეფასებული უნივერსიტეტის მიერ - სასურველია ეს იყოს შესაბამისი მიმართულებით დასაქმებულთა მუშაობის ძირითადი მიმართულება და არა შეთავსებული საქმე.

კარიერული მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად ჩატარებული ბაზრის კვლევა ძალიან ზოგადია,

რეალურად ეფუძნება მხოლოდ მცირე რაოდენობით სტატისტიკურ მაჩვენებლებს და სავსებით არ მოიცავს უნივერსიტეტის უცხოენოვან კონტიგენტის ინტერესებს. უნივერსიტეტი ატარებს გამოკითხვებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილებისა და აკადემიური განვითარების შესახებ. ტარდება, ასევე, გამოკითხვები სხვა დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულების შესაფასებლად, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში გამოკითხვის მეთოდოლოგია საჭიროებს დახვეწას. მაგალითისათვის, სტუდენტთა კომპეტენციების შეფასებისათვის გამოკითხულია იმ კლინიკების პერსონალი, სადაც სტუდენტები გადიან კლინიკურ მზადებას - ანუ, ფაქტობრივად, გამოკითხულნი არიან ის ადამიანები, ვინც უშუალოდ მონაწილეობენ სასწავლო პროცესში. აღნიშნული მიდგომა ნაკლები ალბათობით ასახავს რეალურ სურათს. როგორც ჩანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციონირება სტუდენტთა მხარდამჭერი აქტივობების შეფასების კუთხით მეტწილად გამოკითხვების შედეგების ანალიზს ეფუძნება. სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის მაჩვენებლები წარმოდგენილი არ არის, თუმცა გამოკითხვების მონაცემებზე დაყრდნობით, ასეთი შესაძლებლობები სტუდენტებისათვის არსებობს და დადებითადაა შეფასებული. სტუდენტებიც იხსენებენ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების წარმატებულ მაგალითებს. დამატებითი სტუდენტური აქტივობები ფართო მასშტაბებში ხორციელდება უნივერსიტეტში. მათი ნუსხა და მრავალფეროვნება საკმაოდ ვრცელია. დაბალი სოციოეკონომიური სტატუსის მქონე სტუდენტებისათვის არსებობს მხარდაჭერის საშუალებები და დაშვებულია სწავლების საფასურის გადახდის ინდივიდუალური პირობების განსაზღვრის წესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). • შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის დებულება • შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი • კითხვარების ანალიზი • სტრუქტურა • სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის დებულება • დაგეგმილი და განხორციელებული სტუდენტური აქტივობები • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: **რეკომენდებულია:** • სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის, ასევე კარიერული და მხარდამჭერი სხვა ღონისძიებების მნიშვნელობა იყოს სათანადოდ შეფასებული და მიმართული ეფექტურ ფუნქციონირებაზე სტუდენტების ინტერესების სასარგებლოდ, რაც უზრუნველყოფილი იქნება აღნიშნულზე პასუხისმგებელი სამსახურის საქმის სპეციფიკასთან შესაბამისი კომპლექტაციით; • სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებების ფარგლებში ყურადღება დაეთმოს სტუდენტებისათვის კარიერის განვითარების სხვადასხვა ალტერნატივების გაცნობას; • კარიერული მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად კვლევები დაიგეგმოს უფრო

მიზანმიმართულად და მოიცავდეს უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტიგენტს სრულად; • სტუდენტთა კომპეტენციების შეფასების, ასევე სტუდენტთა მხარდამჭერი და სხვა აქტივობების შესაფასებელი გამოკითხვები უფრო სპეციფიური, დეტალიზებული და მიზანთან შესაბამისობით დაგეგმილი იყოს.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ***ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*** ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
o უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. o სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. o უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უნივერსიტეტი გეომედი სასწავლო უნივერსიტეტია თუმცა ვებგვერდზე განთავსებული და დებულებაში არსებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ „უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევისა და საგანმანათლებლო პროცესის ჰარმონიზაციას, რომელიც მიმართულია მედიცინის, სტომატოლოგიის, ჯანდაცვის ეკონომიკისა და მართვის, ფინანსების, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სტუდენტის ინტელექტუალურ და შემოქმედებით განვითარებაზე“. მედიცინის ფაკულტეტის კურიკულუმში 30 არჩევითი კრედიტიდან 10 კრედიტი მიენიჭება სტუდენტს თუ ის მონაწილეობას მიიღებს სამეცნიერო-კვლევით პროექტში. უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის მიხედვით სწავლისა და მეცნიერული კვლევების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა ერთ–ერთი პრიორიტეტია. გეომედი უზრუნველყოფს ფინანსურად სამეცნიერო კვლევებისა და საბიბლიოთეკო რესურსების აღდგენას. წინა წელთან შედარებით დაფინანსება გაიზარდა 1.4%–იდან 2.5%–მდე, თუმცა წარმოდგენილ ფინანსურ

დოკუმენტში არ ჩანს რამდენია უშუალოდ კვლევებზე გამოყოფილი ან როგორი სისტემით ხდება თანხის გადანაწილება შესაბამისი პუნქტების მიხედვით. ყოველწლიურად გეომედი აწყობს საერთაშორისო, სამეცნიერო–პრაქტიკულ კონფერენციებს, რომლებიც ტარდება უნივერსიტეტის ბაზაზე და მათში მონაწილეობას იღებენ როგორც უნივესიტეტის, ასევე მოწვეული მეცნიერები. შედეგები ქვეყნდება დაწესებულების მიერ გამოცემულ სამეცნიერო ჟურნალში. სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილის მიერ ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ უკვე დაწყებულია მუშაობა სამეცნიერო პოტენციალის შესაფასებლად, რისთვისაც დეკანებს ეთხოვათ რესურსების, ბიბლიოგრაფიული მონაცემების და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა. მისი აზრით აღნიშნული აქტივობა საფუძვლად დაედება კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრას. დღეისათვის უნივერსიტეტს სამეცნიერო მიმართულებები გამოკვეთილი არ არის. უნივერსიტეტს არ აქვს სადოქტორო პროგრამა, მაგრამ ფუნციონირებს სამაგისტრო პროგრამები. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურები ღია, საჯარო და გამჭვირვალეა. ნაშრომების შეფასება ხდება 3 დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ, დაცვამდე ერთი კვირით ადრე ტარდება კომისიის წინაშე წინასადიპლომო დაცვა, რომელიც აძლევს რეკომენდაციას დაცვისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). • თვითშეფასება 2017 • უნივერსიტეტის ვებგვერდი • დამტკიცებული 2018 სასწავლო წლის ბიუჯეტი
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. • გეომედი სასწავლო უნივერსიტეტია და შეზღუდული ფინანსების პირობებში აუცილებელია განისაზღვროს კვლევითი პრიორიტეტები; • საჭიროა ბიუჯეტის მეტად დეტალიზირება სამეცნიერო კვლევების კუთხით (ასე მაგალითად როგორ იქნება დახარჯული და რამდენი იქნება გამოყოფილი უშუალოდ კვლევაზე, კონფერენციიის ჩატარებაზე, ლაბ–ის აღჭურვაზე და სხვა); • კონფერენციის მასალები მისაწვდომი იყოს ვებგვერდზე, რათა მოხდეს პლაგიარიზმის თავიდან აცილება და შედეგების დისემინაცია
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ *მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- o უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- o ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- o უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

გეომედის სტრატეგიულ გეგმაში ერთ–ერთი მთავარი პრიორიტეტია კვლევების განვითარება და ინტერნაციონალიზაცია. დღეისათვის უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული ხელშეკრულება იტალიის კვლევების საბჭოს, ბულგარეთისა და სერბეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან, რითაც შეიძლება ჩაითვალოს, რომ ინტერნაციონალიზაციის პროცესი დაწყებულია, თუმცა არასაკმარისია. საჭიროა განსაზღვრული კვლევითი მიმართულებებით და უნივერსიტეტების პრიორიტეტების მიხედვით შესაბამისი დარგის სამეცნიერო–კვლევით ინსტიტუტებთან გაფორმდეს არამარტო მემორანდუმები, არამედ დაისახოს ინტერნაციონალიზაციის გეგმა, ასე მაგალითად დაიდოს ორმხრივი ხელშეკრულება და მოხდეს მეცნიერთა/სტუდენტთა/ პროფესორების გაცვლა არა მარტო სასწავლო, არამედ სამეცნიერო პროექტების ფარგლებში. სამწუხაროდ უნივერსიტეტის ფინანსური დოკუმენტიდან და ინტერვიუდან ვერ ირკვევა ინტერნაციონალიზაციის მიზნით რამდენი იქნება დახარჯული. თუმცა ინტერვიუს დროს უსდ-ს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტს აქვს სარეზერვო ფონდი და საჭიროების შემთხვევაში მოხდება დაფინანსება ამ ფონდიდან. წარმოდგენილი სხვა დოკუმენტებიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტი დააფინანსებს იმპაქტ–ფაქტორიან ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებას, ასევე მოახდენს პროფესორ–მსაწავლებელთა და სტუდენტების კონფერენციებზე დასწრების ფინანსურ უზრუნველყოფას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- თვითშეფასება 2017
- უნივერსიტეტის ვებ.გვერდი
- დამტკიცებული 2018 სასწავლო წლის ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

- საჭიროა დეტალური ინტერნაციონალიზაციის გეგმის შემუშავება სამეცნიერო პრიორიტეტების გათვალისწინებით;
- საჭიროა განისაზღვროს ფინანსური მხარდაჭერა კვლევის ინტერნაციონალიზაციისათვის;

- საჭიროა განისაზღვროს კონკრეტულად როგორ მოხდება ახალგაზრდა პერსონალის მოზიდვა და დაინტერესება

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ *ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

უნივერსიტეტში არ მოქმედებს სადოქტორო პროგრამა, მხოლოდ სამაგისტრო პროგრამები ფუნქციონირებს, უსდ-ს შემუშავებული აქვს სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის, შესრულებისა და შეფასების ინსტრუქცია. არსებული დოკუმენტი თანმიმდევრულად ასახავს ნაშრომის მომზადების პროცედურებს, ასევე რეცენზენტის ვალდებულებებს, რომელიც ამოწმებს ნაშრომის უნიკალურობას (პლაგიარიზმის გამოსარიცხად). თუმცა არის მცირე ხარვეზები - ნაშრომის შეფასებისას გამოყენებული ლიტერატურის ციტირებას და წყაროების გამოყენებას ენიჭება 15 ქულა და არ არის მითითებული რითი განისაზღვრება წყაროს სანდოობა ან რატომ არის ასეთი მაღალი შეფასება.

„გეომედ"–ს შემუშავებული აქვს აკადემიური/აფილირებული პერსონალის სამეცნიერო აქტივობის შეფასების კრიტერიუმები, რომელიც დეტალურადაა გაწერილი სამეცნიერო აქტივობის შეფასების სისტემაში და მოიცავს თოთოეული აქტივობის ქულობრივ შეფასებას (მაგ:საქართველოში გამოცემული მონოგრაფია – 5 ქულა, იმპაქტ–ფაქტორიან ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება - 10 ქულა და ა.შ). აქტივობა შეფასდება 3 წელიწადში ერთხელ. დოკუმენტი მიღებულია 2018 წლის 30 იანვარს აკადემიური საბჭოს მიერ და ამდენად ჯერ შედეგების ნახვა შეუძლებელია, რადგან შეფასება ჯერ არ ჩატარებულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- აკადემიური/აფილირებული პერსონალის სამეცნიერო აქტივობის შეფასების სისტემა (30.01.2018)

- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, წარდგენისა და შეფასების ინსტრუქცია
- ვებგვერდი

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სასურველია სამაგისტრო ნაშრომის შესაფასებელი ქულები იყოს უფრო კონკრეტულად ჩაშლილი და შესაბამისი

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ ***შესაბამისობაშია მოთხოვნებთან***

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი

- უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.
- დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.
- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

უნივერსიტეტის სასწავლო ფართობი, რეესტრის და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით შეადგენს 1817.5 მ2, აქტიურ სტუდენტთა რიცხვი მიმდინარე პერიოდში 840. (ერთ სტუდენტზე 2.16 მ2). ამჟამად უნივერსიტეტის ერთ ფლიგელში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგ კიდევ დაემატება აღნიშნულ ფართობს. ადმინისტრაციის გადმოცემით, მიმდინარე რემონტი მალე უნდა დასრულდეს და უნივერსიტეტს მიემატება ისეთი

სივრცე, როგორიცაა სასადილო, რაც ამჟამად მას არ გააჩნია. გარდა აღნიშნულისა, უნივერსიტეტს ემატება სასაწავლო ოთახები, რომლებიც უფრო თანამედროვედ იქნება აღჭურვილი. სასწავლო ოთახები ნათდება ბუნებრივად, უნივერსიტეტს გააჩნია უწყვეტი ელექტროენერგიის მიმწოდებელი გენერატორი, აქვს გათბობის ცენტრალური სისტემა. სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხოება დაცულია, გარე და შიდა მეთვალყურეობის კამერებით, დაცვის სამსახურით, რომელიც უზრუნველყოფილია 24 საათის განმავლობაში. სახანძრო უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ორგანოს მიერ და დადასტურებულია ხელშეკრულებით. უნივერსიტეტს გააჩნია კომპიუტერებით აღჭურვილი აუდიტორიები, საგამოცდო ცენტრი, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი, (სულ 78 კომპიუტერი). პრინტერებთან და სკანერებთან წვდომა როგორც აკადემიური პერსონალისათვის ასევე სტუდენტებისთვის შეუზღუდავია.
ახალ გარემონტებულ სივრცეში გარემო თანამედროვეა და მიმზიდველი, პირობები სასწავლო პროცესისათვის უკეთესადაა უზრუნველყოფილი, მაგალითად კლინიკური უნარების ცენტრი, OSCE სადგურები მედიცინის სკოლისათვის. ანატომიის, მორფოლოგიის, ბიოქიმიის და ჰისტოლოგიის ლაბორატორიები შედარებით მოძველებულია, თუმცა მიკროსკოპები შეძენილია თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით. არსებულ ლაბორატორიათა ფართობი სტუდენტთა დატვირთვის შესაბამისი არსებული მოთხოვნის პირობებში, ვერ იქნება (მედიცინის სკოლა).
მსგავსი სიტუაციაა სანიტარულ მოთხოვნებთან დაკავშირებით. გარემონტებული სივრცე შეესაბამება მოთხოვნებს, ძველი კი ვერ აკმაყოფილებს მას.
უნივერსიტეტის დათვალიერებისას, ექიმის ოთახი იყო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სტომატოლოგიურ კლინიკაში, რომლის დეტალური აღწერა ვერ მოხერხდა.
სასწავლო დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის, არის მოწესრიგებული ლიფტები და პანდუსი მათთვის. დეკანატი და სტუდენტური სერვისების დერეფანი მათთვის ამჟამად იოლი მისადგომი არ არის, თუმცა რეკონსტრუქციის გეგმის მიხედვით ეს საკითხიც მოგვარებული იქნება.
უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები და მემორანდუმები კლინიკებთან, რაც მედიცინის ფაკულტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ამ კლინიკათა ინფრასტრუქტურა და ასევე სივრცეები, რაც გათვლილია კონკრეტული უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, მათი აღჭურვილობა და ადაპტაცია სასწავლო პროცესისთვის უცნობია (კლინიკების დათვალიერება ვიზიტის მსვლელობისას არ მომხდარა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- თვითშეფასების წლიური ანგარიში
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- 2017 წლის ფინანსური ანგარიში
- უსდ-ს ბიუჯეტი
- ინფორმაცია დაფინანსების წყაროს შესახებ - 5 წლის ანგარიში
- შენობის სახანძრო უსაფრთხოების ზომების ინსტრუქცია
- ხელშეკრულება სახანძრო სისტემის დამონტაჟების შესახებ
- მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი

- ინტერვიუს შედეგები
- დათვალიერება

რეკომენდაციები:

- სამედიცინო სკოლის სასწავლო და საგამოცდო პროცესის უზრუნველყოფისთვის საჭიროა მეტი სივრცე და ინვენტარი არსებული ლაბორატორიებისათვის, მათი ნაწილი საჭიროებს განახლებას;
- OSCE სადგურები რაოდენობრივად გასაზრდელია;
- არსებულ ტერიტორიებზე (ძველი ფლიგელი) სანიტარული კვანძების მოდერნიზაცია, რეაბილიტაცია.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ *მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 30.12.2019 მონაცემებით მოიცავს 15.552 ერთეულს (მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ლიტერატურის ძირითადი ნაწილი ქსეროასლების სახით არის წარმოდგენილი), ამას ემატება კიდევ ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ლიტერატურა. ბიბლიოთეკა ინფრასტრუქტურულად არ არის თანამედროვე და მის ფუნქციებზე მორგებული. სამკითხველო დარბაზი და სხვა სივრცეები არ არის გამოკვეთილი და ფართობი არასაკმარისია სტუდენტთა კონტიგენტის გათვალისწინებით. იგივე შეიძლება ითქვას წიგნის საცავზეც.

ბიბლიოთეკის პერსონალი კეთილგანწყობილია, (სულ 3 თანამშრომელი). მათ გავლილი აქვთ გარკვეული ტრენინგები და არსებულ ვითარებაში ორიენტირებენ დამაკმაყოფილებლად. ბიბლიოთეკა მუშაობს დღეში 8 საათს, კვირაში 5 დღე, ნაცვლად სტანდარტით გათვალისწინებული 60 საათისა.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი მის ვებგვერდზე აღნიშნული მომენტისთვის ხელმისაწვდომი არ არის.

უნივერსიტეტის ბიუჯეტის მიხედვით, ბიბლიოთეკის განახლებისათვის განკუთვნილი ფინანსების მოცულობა უცნობია, ვინაიდან იგი კვლევის დაფინანსებასთან ერთად შეადგენს მის 2,5 პროცენტს. რაც გასული წლების ბიუჯეტთან შედარებით მართალია გაზრდილია, თუმცა დეტალიზებული არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხვა საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენების, ბიბლიოთეკის მიმართ არსებული მოთხოვნების შესახებ ჩატარებული არ არის. მოპოვებული მონაცემების ანალიზი, მნიშვნელოვნად შეცვლიდა არსებული რეალობის ხედვას და დღის წესრიგში დააყენებდა ბიბლიოთეკის მოდერნიზაციის საკითხს. უნივერსიტეტს ხელშეკრულების საფუძველზე აქვს წვდომა EBSCO-ს ბაზების პაკეტზე, თუმცა სტუდენტები და აკადემიური პერსონალი ამის შესახებ ნაკლებადაა ინფორმირებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). • თვითშეფასების წლიური ანგარიში • 2017 წლის ფინანსური ანგარიში • უსდ-ს ბიუჯეტი • ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებული შეხვედრები და კონსულტაციები • ბიბლიოთეკის რესურსების და სერვისების განვითარების მექანიზმები • საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში ჩართვის ხელშეკრულება • წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი • ვიზუალური დათვალიერება • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. • ბიბლიოთეკა მოითხოვს სტანდარტით გათვალისწინებული სივრცეების არსებობას, შესაბამისი სივრცის არსებობის პირობებში კართოტეკებით აღარ დაიტვირთება ბიბლიოთეკის ძირითადი სივრცე და საცავითაც იოლად ისარგებლებს პერსონალი; • გაიზარდოს ბიბლიოთეკის სამუშაო საათები სტანდარტის შესაბამისად; • ჩატარდეს სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვა საბიბლიოთეკო რესურსების და ზოგადად ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ; • დაიხვეწოს ბიბლიოთეკის განახლების სისტემა; • მოხდეს საბიბლიოთეკო რესურსების უკეთ გაცნობა როგორც სტუდენტებისთვის ასევე აკადემიური პერსონალისთვის
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ***ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან***

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

უნივერსიტეტს გააჩნია ელექტრონული სერვისების სისტემა, სტუდენტთა რეგისტრაციისა და აკადემიური მოსწრების აღრიცხვისთვის. ინფორმაციული სისტემა დაცულია ორი სერვერით, რომლებიც ამას უზრუნველყოფენ. სისტემის გამართულ მუშაობზე პასუხისმგებელები არიან ინფორმაციული ტექნოლოგიების თანამშრომლები.
უნივერსიტეტში, მთელ პერიმეტრზე ხელმისაწვდომია უსადენო ინტერნეტის ქსელი.
უნივერსიტეტს გააჩნია ვებ. გვერდი, რომელიც ორენოვანია, ქართული და ინგლისური, თუმცა არსებულ პერიოდში სრულყოფილად არ ფუნქციონირებს, გარკვეული სერვისები მიუწვდომელია.
უსდ-ს აქვს როგორც ქართულ-, ასევე ინგლისურენოვანი სტუდენტური პორტალი, emis.geomedi.edu.ge - ელექტრონული მართვის სისტემა, რომელიც სტუდენტებს უიოლებს წვდომას მნიშვნელოვან ინფორმაციასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა
- ინტერნეტის მიწოდების ხელშეკრულება
- დომენური სახელით სარგებლობის უფლების ხელშეკრულება
- მართვის ელექტრონული სისტემების მომსახურების ხელშეკრულება
- უსდ-ს ბიუჯეტი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

- უნივერსიტეტის ვებგვერდი საჭიროებს განახლებას და გამართვას, ყველა მნიშვნელოვანი ველი უნდა ფუნქციონირებდეს, მითუმეტეს ის ნაწილები რომლებიც სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის საჭირო ინფორმაციას მოიცავს

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ *მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

უნივერსიტეტის მთავარ ფინანსურ შემოსავალს შეადგენს სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური. არსებულ პერიოდში უნივერსიტეტის ფინანსური შემოსავალი გაიზარდა, რაც მედიცინის ფაკულტეტზე სტუდენტების რაოდენობის ზრდის ექვივალენტურია (მათ შორის უცხოელის).

ფინანსური ზრდის ტენდენცია, ბუნებრივია პოზიტიურია, რაც პროგრამების მდგრადობას მეტად უზრუნველყოფს.

უნივერსიტეტს ბიუჯეტში გამოყოფილი აქვს ე.წ. სარეზერვო ფონდი, რომელიც, ადმინისტრაციის აზრით ისეთი გამოწვევებისთვისაა განკუთვნილი, როგორიცაა გაუთვალისწინებელი აუცილებელი ხარჯები სასწავლო პროცესის უზრუნველყოფისთვის.

უნივერსიტეტის სხვა შემოსავლების წილი, როგორიცაა კერძო სტომატოლოგიური კლინიკა,

ეროვნული გრანტების თანამონაწილეობა და ა.შ. მწირია.

წარმოდგენილ ბიუჯეტში, კვლევების დაფინანსებისთვის განკუთვნილი თანხა, ბიბლიოთეკის ხარჯებთან ერთად შეადგენს 2,5 პროცენტს, ეს რიცხვი ძველ მაჩვენებელთან შედარებით მართალია გაზრდილია, თუმცა ამ კომპონენტებისთვის ერთობლივად მცირეა.

ბიუჯეტის წლიური განაწილების პროცედურა, დისტრიბუცია ფაკულტეტებსა და ფაკულტეტების მოთხოვნილებებს შორის, თუ სხვა საჭიროებებზე, მთლიანად გასაგები არ არის.

უნივერსიტეტი აწარმოებს ხარჯების აუდიტირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში
- უსდ-ს ბიუჯეტი
- ინფორმაცია დაფინანსების წყაროების შესახებ
- ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის დანერვის დოკუმენტი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

- საჭიროა ბიუჯეტის დაგეგმვისას კვლევით ნაწილზე უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბება, რაც მის ბიუჯეტირებას უფრო ნათელს გახდის;
- პროგრამათა მდგრადობისათვის უმჯობესია, გარდა სტუდენტების მიერ გადახდილი გადასახადისა , გაიზარდოს გარე გრანტების წილი;
- სკოლებს/პროგრამებს შორის ფინანსების დისტრიბუციის გამჭვირვალობა.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

უმჯობესი იქნებოდა შიდა გრანტის არსებობა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდიდა როგორც სტუდენტთა ინტერესს და ჩართულობას კვლევით პროცესში, ასევე აკადემიური პერსონალისა.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ *მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან*

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტი;)	ქართული	ბიზნესისადმინის ტრირების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	13.12.2014, #273
2	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია	ქართული	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	13.12.2014, #275
3	ფინანსები	ქართული	ფინანსების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	29.07.2016, #81
4	ჯანდაცვის მენეჯმენტი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი	120	აკრედიტებული	13.12.2014, #274
5	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია	ქართული	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მაგისტრი	120	აკრედიტებული	13.12.2014, #276
6	სტომატოლოგია	ქართული	დიპლომირებული სტომატოლოგი	300	აკრედიტებული	13.12.2014, #277
7	დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა	ქართული	დიპლომირებული მედიკოსი	360	აკრედიტებული	30.08.2013, #112
8	დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა (ინგლისურენოვანი)	ინგლისური	დიპლომირებული მედიკოსი	360	აკრედიტებული	30.08.2013, #113
9	ქართულ ენაში მომზადების პროგრამა			60	აკრედიტებული	